მოწვევა ტენდერზე

საქართველო

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

ქობულეთის საკანალიზაციო სისტემის გამწმენდი ნაგებობის დასრულების სამუშაოები (WWTP) - სამშენებლო სამუშაოები

EBRD/W/ICT/01-2015-Kobuleti სამუშაოების შესყიდვა

ტენდერზე მოწვევას წინ უძღოდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) განცხადება, რომელიც გამოქვეყნდა ვებ გვერდზე (www.ebrd.com) 2015 წლის 3 ნოემბერს.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, შემდგომში "დამკვეთი" ითვალისწინებს **ქობულეთის მუნიციპალური წყლის პროექტის** განხორციელებას, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ("ბანკი") მიერ გამოყოფილი სესხის საშუალებით.

დამკვეთი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს კონტრაქტორებს კონტრაქტის შესასრულებლად, რომლის დაფინანსება განხორციელდება ნაწილობრივ მიღებული სესხითა და გრანტებით. შესასრულებელი სამუშაოები მოიცავს: **ქობულეთის საკანალიზაციო სისტემის გამწმენდი ნაგებობის დასრულების სამუშაოები (WWTP) - სამშენებლო სამუშაოები.**

ობიექტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, აჭარაში, თბილისიდან 350 კმ-ის დაშორებით და მოიცავს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას. ობიექტზე ჩასვლა შესაძლებელია თბილისი-სამტრედია-ბათუმის გზატკეცილის ან რკინიგზის საშუალებით.

კონტრაქტორის ვალდებულებები არ მოიცავს მექანიკური მოწყობილობების მიწოდებას, გარდა ჯაჭვური სკრეპერის, გადამღვრელი ღარის და მეორადი სალექარისა.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდი მოიცავს: 9 თვეს

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფირმებსა და კონტრაქტორებს ნებისმიერი ქვეყნიდან.

კონტრაქტის მისაღებად ტენდერში მონაწილე კომპანია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) ტენდერში მონაწილის საშუალო ბრუნვა უნდა შეადგენდეს არანაკლებ **3,700,000.00 (სამი მილიონ შვიდასი ათასი) ევროს** ექვივალენტს ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში.

ბ) თითოეულ მონაწილეს უნდა ჰქონდეს ან მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ლიკვიდური აქტივები, თავისუფალი (დავალიანების არ მქონე) რეალური აქტივები, საკრედიტო ხაზები და ფინანსური საშუალებები კონტრაქტის მიმდინარეობისას **2 (ორი)** თვის განმავლობაში მშენებლობისთვის საჭირო ფულის ბრუნვასთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რაც შეადგენს **400,000.00 ევროს** ექვივალენტს განმცხადებლის სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გათვალისწინებით.

გ) ბოლო **5 (ხუთი) წლის** განმავლობაში მსგავსი ხასიათის სულ მცირე **2 (ორი)** პროექტის წარმატებით განხორციელების გამოცდილება როგორც გენერალურ კონტრაქტორს, რომლის ღირებულებაც შეადგენს **1,500,000.00 (მილიონ ნახევარი) ევროს ექვივალენტს**. ასევე, ტენდერში მონაწილეს უნდა ჰქონდეს შემდეგი სახის გამოცდილება: - მიწის სამუშაოები - 4,000 m^3, ბეტონის სამუშაოები – 3,000 m^3, არმატურის სამონტაჟო სამუშაოები 320 ტონა, ნებისმიერ ერთ წელიწადში.

(დ) მონაწილეებს ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ ერთობლივი საწარმოს, კონსორციუმის და გაერთიანების სახით (JVCA), რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

i. წამყვანი პარტნიორი უნდა აკმაყოფილებდეს ზემოაღნიშნულ წლიური საშუალო ბრუნვის და ფინანსურ წყაროებში გათვალისწინებული მოთხოვნების არანაკლებ 40%-ს.
ii. დანარჩენი პარტნიორებიდან თითოეული უნდა აკმაყოფილებდეს ზემოაღნიშნული წლიური საშუალო ბრუნვის და ფინანსურ წყაროებში გათვალისწინებული მოთხოვნების არანაკლებ 25%-ს.
iii. ჯამში ერთობლივი საწარმო, კონსორციუმი და გაერთიანება (JVCA) უნდა აკმაყოფილებდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნების 100%-ს.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება მისი მოთხოვნის შესაბამისი წერილის წარდგენის საფუძველზე შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე უსასყიდლოდ.

სატენდერო დოკუმენტაცია გადმოგზავნილი იქნება ელექტრონულად ვებ-პორტალის - www.wetranfer.com-ის საშუალებით.

სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს **2016 წლის 11 თებერვლის 15:00-მდე, ადგილობრივი დროით,** რომლის გახსნაც მოხდება ტენდერში მონაწილეების უფლებამოსილი წარმომადგენლების თანდასწრებით.

პოტენციური ტენდერის მონაწილეების რეესტრის, რომელთაც მიღებული აქვთ სატენდერო დოკუმენტაცია, დათვალიერება შესაძლებელია ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

პოტენციურ მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის, სატენდერო დოკუმენტაციის დათვალიერება და მიღება შეუძლიათ შემდეგ მისამართზე:

ვის: ბ-ნ ჯუანშერ ბურჭულაძე, აღმასრულებელი დირექტორი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. #150, თბილისი 0112, საქართველო
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისი
(1) სატენდერო დოკუმენტაციასთან ან დაზღვევის საკითხებზე: ოთახი #405, სართ IV
(2) საკონკურსო წინადადებების წარდგენის მიზნით, ოთახი #301, სართ III
(3) წინა-სატენდერო შეხვედრასთან დაკავშირებით: ოთახი #316, სართ III
ტელ: +995 32 2437001/02/03/04
ფაქსი: +995 32 2437077
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge
ვებ. გვერდი: www.mdf.org.ge